№ 124 ივნისი 15, სამშაბათი 1893 ივნისი 15, სამშაბათი № 124

ГАЗЕТИ ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდათ უნდა მიეგზავნოთ: ოფიციალური ნაწილი — ადგილობრივ ადმინისტრაციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თბ. გრ. ბინასარიოვის სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ-საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893

გარდაცვალებულის **თავად ნესტორ ალექსანდრეს ძის თავდგირიძის** ქვრივი, **კნეინა ნინო მერაბის ასული** და ძე მისი **თავადი ალექსანდრე თავდგირიძენი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა დაესწრონ ამა ივნისის 19 რიცხვსა, 10 საათზედ დილით, ოზურგეთის მაზრაში სოფლის აკეთის ეკკლესიაში განსვენებულის ორმოცის წირვაზე და პანაშვიდზე, რომელიც იქნება გარდახდილი მისს ყოვლად უსამღვდელოესობის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის მიერ.

კნეინა მარიამ სვიმონის ასული, თავადნი ივანე და დიმიტრი გიორგის ძენი ფალავანდიშვილები, ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელისა, კნეინა სალომე გიორგის ასული ამირეჯიბისა, კნეინა ანასტასია გიორგის ასული თაძთაძიშვილისა და კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვრისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 16 ამა ივნისს, სოფ. კნოლევის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **თავადის გიორგი დიმიტრის ძის ფალავანდიშვილის** სულის მოსახსენებლად. (2—2)

23-ს ივნისს, ქ. ტფილისში, წმიდა სამების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ერთის წლის მიცვალებულის **მელიანა ივანე გოსტაშვილის ასულის ინაშვილის** სულის მოსახსენებლად.

დიბეჭდა და გარდაეცა ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიას

ილია ჭავჭავაძის

თხზულებანი

მე-III ტომი.

შიგ მოთავსებულია სხვათა შორის: „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ და „**ოთარაანთ ქვრივი**“.

ფასი 1 მან.

აგენტებს გაეგზავნებათ 10 ივნისს.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ წარსულ 1892 წლის დივიდენდი ამხანაგობის წევრთა მიეცემათ ამა, 1893 წლის ოქტომბრის პირველიდამ.

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სსკა-და-სსკა ქალაქებსა და დაბებში

№ 4

სვანური ზღაპრები

შეკრებილი თავისუფალ სვანის მიერ

ფასი ექვსი შაური

(3—3)

ფელეტონი

სოფლის სურათები

VI

(დასასრული *)

რას აკეთებენ სოფლის „სუდიანი“? სიმართლით რომ ვსთქვათ, თვითონაც არ იციან რას აკეთებენ, მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, ჩვენც არ ვიცოდეთ მათნი საქმენი და მოძღვრება-მოქმედებანი. თუმცა გარეგნობით ყოყლოჩინობენ, მაგრამ გული-გულში-კი, ღვთისა წინაშე, ჰგრძნობენ, რომ იმათ „სუდიაობისა“ არაფერი სცხიათ, გარდა „მენდლისა“.

ეს საქმე თავის ცნობისა, თავის ვინაობისა ჯერ ჯერობით დარჩეს და ჩვენ იმ საქმეს ჩავუკვირდეთ, რა საქმეს ემსახურებიან სოფლის მსაჯულნი და როგორ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ „კანცელიობა“ მუდამ კვირა-უქმე დღესარის. სამაზრო და სატახტო ქალაქებში ამას ვერა ჰნახავთ. დაბარებულია „პოვესკით“ მოჩივარი და მოპასუხე. „სუდიანი“ მამლიყინწებივით „კანცელიის“ სტოლს უსხედან გარეშემო და უცდიან... რას უცდიან, ის უნდა იცოდეთ და! ვიდრე „ლაზბორი“ დაიწყება ისენი „ზაკუშკას“ მოელიან, რომელიც თავისთავად უნდა სადილად იქცეს და ბოლოს სამხრად „შეიქმნას“ უსათუოდ. ეს ორთავე მხარემ უწყის და ერთმანეთის „მემჯობიას“ მოარბევინებენ სასმელს და საჭმელს, რომელიც მეტს შნოსა და უნარს გამოიჩენს ამ დროს, ღმერთიც, და სამართალიც იმისკენ არის. ასე რომ „კანცელია“ ერთსა და იმავე დროს სასამართლოც არის და სამეკიტნოც, სალაყბოც, სამზარეულოც და სხვ., და სხვ. (მოხდება ხოლმე, რომ მწვადებიც იქვე შიშხინობენ ბუხარში). მამასახლისიც მოიზიდება, საჭმელ-სასმელის სუნს რომ გაიგებს; იმას სუდიები არ უშვებენ, რადგან შეუტყვიათ ის პოლიციაა და გასამართლებაში საქმე არა აქვს. თუ თავ-გზიანი მამასახლისია, ისიც გაიკრავს რასმე მშვიდობიანად, თუ არა და უნდა გაჩუმდეს და ჩამი-ჩუმად იმაზე დაიწყოს „კლეუზნობა“, ვინც ლუკმას ართმევს და ნადავლს არ უყოფს შუაზე ძმურად. სიმართლით რომ ვსთქვათ, არც-კი ის დაიკლებს რასმე. გამოიბრუჟებიან მოხელეები კარგა ლაზათიანად. არც არას გზირი იკლებს, ისიც მონაწილეა სამართლიანობისა. გაიმართება ერთი ჟივჟავი და ყაყანი. პატრონი ძაღლს ველარა სცნობს, ძაღლი პატრონს. სდგას „შტოლზე“ ჩამწკრივებული „ბოთლიკები“ და იქვე „კნიღაა“ გაშლილი და „პისერი“ სწერს გარდაწყვეტილებას. თითონ სუდიებმა არც-კი იციან, დღეს რომ ჰკითხოთ, გუშინ რა გარდასწყვიტეს: ვინ გაამართლეს, ვინ გაამტყუნეს,—ეს „პისერს“ უნდა ეკითხოს, რადგან წერა-კითხვა იმან იცის და განჩინებასაც, როცა სუდიებს ი მსხვილ-მსხვილი გოგრები უფრო დაუმსხვილდებათ და ველარ ერევიან,—განაჩენს ის ადგენს, ხან ერთს მხარეს უშვრება თვალს, ხან მეორეს. სუდიანიც ამასვე სჩადიან, რა თქმა უნდა. მოჩივან-მოპასუხეთაც არა სძინავთ, ისინიც თვალებს ამუშავებენ ხან ერთის, ხან მეორის მიმართ. თანა სმენ, თანა ბჭობენ, თან ილანძღებიან. ახლა სუდიანი ერთმანერთსაც ეჯიბრებიან, ახლა მამასახლისიც იმათ კბილსა სცემს, „იურის დიკცია“ მე უნდა მეკუთვნოდესო,—უწყის იმანც, რომ ეს სახეირო საქმეა. სუდიანი არ უთმობენ ჯერ ერთმანერთს, მერე მამასახლისს. ამასობაში დაიბრუჟებიან, დაიბრუჟებიან და დაერევიან ერთმანერთს, ჰა, დაკა, დაკა ბიჭო!

— ჰოი, თქვენი ქრიტე! ჰოი, თქვენი გამჩენი! ამბობს ამ დროს ბრაზ-მორეული სოფელი: ახ, ნეტა ერთი „ღურბელნატორი“ მოიყვანა, ენახა თვალით თქვენი სეირი!

ისმის ეს ხმა აქეთ-იქიდამ, მაგრამ დააყენე ამისი მთქმელი სოფლის სუდიად და ის უარესობას ჩაიდენს.

ორშაბათობით რაღას აკეთებენ სუდიანი?—მოუყრიათ თავი-თავს დუქანში, დაყრდნობილან ნიდაყვით დარაბაზე თავის მენდლებითურ და ადევნებენ თვალს ხან ერთს, ხან მეორეს, ხანაც კიდევ დახლიდარს, ყველას შეაფოფინებენ: ჩაგვაყლაპეთ კიდევ რამ ღვთის გულისათვისო. მაგრამ დღეს ისე არავინ აყლაპებს, როგორც გუშინ აყლაპებდნენ, რადგანაც დღეს „კანცელიობა“ არ არის. ამ დროს „სუდიები“ გარეზგვილებს ჰგავან. მამასახლისი რაღას აკეთებს?

იმას ჯაჭვი ჰკიდია და იცის, თუ ყელზე ჯაჭვი აქვს, ხელმწიფეცკი ხელს ვერ ახლებს. მაგრამ ხანდა-ხან მოსცხებენ ხოლმე, ჯაჭვი ველარ ეფარება და მაინც მდუმარებს. თუ ისე შინაურულად გადაახდევინა რამ, ხომ რა კარგი, თუ არა და საჩივლელად არ მირბის, რადგანაც ქეიფის დროს ჯაჭვს არაფერი მნიშვნელობა აქვს.

მაინც და მაინც რას აკეთებს მამასახლისი? იგი ასრულებს მაზრის უფროსის და ბოქაულის ბრძანებას, სოფელს აწიოკებს, სად „სწრაფს“ ახდევინებს, რის გამოც გააქვთ გირაოდ გატანილს ქვაბებს, წალდუნებს, ნაჯახებს და სხვ. საბრალო ჩხარა-ჩხური,—აზიდვინებს გზირს დუქანში დასაგირავებლად,—თითონაც უკან მისდევს,—მიდის და თანაც მისდევს სოფლის წყევლა და გინება.

ვაჟა-ფშაველა

*) იხ. ივ. № 123

ახალი ამბავი

*** მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 21,500 მ შესწირა ამიერ-კავკასიის საბებიო ინსტიტუტს იმ პირობით, რომ ამ ფულით აგებულ იქმნას: 1, ორ სართულიანი სახლი, რომლის ზემო სართულში სასწავლებელი უნდა იყოს და ქვემოდ-ყვავილის ამცრელთა განყოფილება; 2, ცალკე შენობა იმ ქალთათვის, რომელთაც მჭამელა სენი გაუჩნდებათ. შინაურ საქმეთა სამინისტროს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სურვილი მოუხსენებია ხელმწიფე იმპერატორისათვის და ფულის მიღების ნება-რთვა მიუღია.

*** 13 ივნისს, დილის 8 საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტიევი საგანგებო რკინის გზის მატარებლით წაბრძანდა ყარსის ოლქში.

*** სომეხთა ეჩმიაწინის სინოდს ეუწყა, მთავარ-ეპისკოპოზი მკრტიჩ ხრიმიანი უმაღლესად დამტკიცებულ [illegible] ლიკოსადო. სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ ამას შემდეგ ეკკლესიებში იხსენიებდნენ კათალიკოზს მკრტიჩ I.

*** სახალხო სეირნობიდგან ლოტარეია-ალეგრითურთ, რომელიც გამართული იყო ამ წლის 30 მაისს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ, შემოვიდა: შესასვლელის და სალოტარეიო ბილეთებისგან 2238 მ. 60 კ., ბუფეტისაგან 49 მ. 27 კ. და შემოწირულება 40 მ., სულ 2327 მ. 87 კ. დაიხარჯა ნივთების ყიდვაზე, მარკებსა და სეირნობის გამართვაზე 887 მ. 72 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 1440 მ. 15 კ. და ამას გარდა ნივთები 54 მ. და 22 კ.

„საზოგადოებ ს“ გამგეობას თავის მოვალეობად მიაჩნია გამოუცხადოს უბულითადესი მადლობა ყველას, ვინც-კი ხელი შეუწყო საზოგადოებას ხსენებულის სეირნობის გამართვაში და აგრედვე მათ, რომელთაც დაებრუნეს ფულიანი მოგება 25 მ. და 15 მ.

*** ჩვენ მოგვვიდა ოზურგეთში შეკრებილი 16 მანეთი, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისადმი“ გადასაცემად. აქედგან 8 მანეთი იქ გამართულ წარმოდგენიდგან შემოსულა; დანარჩენი შეუწირავთ: პეტრე ალბორიშვილს, მოსე ურუშაძეს, სფირიდონ კვირკელიას, თ. გიორგი წულუკიძეს, დავით სურგულაძეს, ტ. ჭ., ი. გომელაურს და ი. გ. კ—ძეს— თითო მანეთი.

*** კვირას, 13 მაისს, გათავდა ქალაქის არჩევანები 6 ხმოსნისა და [illegible] ესწრო 248 ამომრჩეველი, რომელთაგან 22-ს ორ-ორი ხმა ჰქონდათ. არჩეულ იქმნენ ხმოსნებად: აგაპიევი, ბუტკევიჩი, სლივიცკი, შერშენკო, შიმკევიჩი და იაკიმოვი. კენჭი უყარეს 12 კაცს და ამოუვიდათ:

	თეთრი	შავი
აგაპიევს, ნ. ფ.	231	34
ბოლოტინს, ნ. მ.	164	100
ბუტკევიჩს, კ. ც.	243	22
მელქუმოვს, ვ. გ.	104	161
რიდს, იუ. კ.	157	108
ლივიცკის, ს. ა.	246	200
ტერ-ყაზაროვს, გ. ო.	73	191
ხაჩატუროვს, ა. ა.	66	200
შაგინს, ფ. ი.	117	151
შერშენკოს, ი. ა.	239	26
შიმკევიჩს, ა. პ.	242	23
და იაკიმოვს, პ. მ.	216	48.

არც ერთი სომეხთაგანი არჩეულ არ იქმნა.

*** სომეხთა სასულიერო კანსისტორიას განუზრახავს სამუდამო ხიდის გადება მტკვარზედ იმ ადგილის, სადაც 6 იანვარს სამღდელოება გაივლის ხოლმე წყლის საკურთხეველად. თ. ი. მუხრან-ბატონს, რომელსაც მტკვრის ერთი ნაპირი ეკუთვნის, შეუტყობინებია კანსისტორისთვის, ნახევარ ხარჯს, რაც ხიდს მოუნდება, მე ვკისრულობ, იმ პირობით-კი, რომ ხიდი გადებულ იქმნას ვანქის ტაძრის პირდაპირ-კი არა, არამედ წყლის საზიდ ქუჩის გაწვრივაო. კონსისტორიას მოუწვევია სომეხთა ყველა ეკკლესიების მნათენი და ამათ კომისია ამოურჩევიათ, რომელმაც ყოველ-მხრივ უნდა მოიაზროს თ. მუხრან-ბატონის წინადადება. ხიდი დაჯდება თურმე 28,000 მანეთი.

*** ზემო-იმერეთი: წრეულ აქეთ [illegible] ბური თესლს რომ აინაზღაურებდეს, კიდევ კარგი. უამინდობის გამო სიმინდები ძალიან გვიან დაითესა და ვინ იცის, ჰაერი როგორ უცვლის ფერს. ავადმყოფობაც უკანასკნელად ძლიერ გახშირდა, ნამეტურ ყელჭირვებაა მოდებული სოფლებში.

*** ს. ქედა (ქვემო აჭარა): აქამდის ჩვენში ძლიერ სიცხეები და „ყორაღლობა“ იდგა. დათესილმა სიმინდმა მიწიდგან ამოსვლა ვერ შეძლო. 3

ამ თვეს წვიმა მოვიდა, ნათესმა ახლაც თავი იწვერა.

ჩვენში ძლიერ სიძვირე არის ყველაფერისა ერბო ყველიც-კი ერთიორად გახდა. სიმინდის ფასმაც აიწია: აქამდის სამ აბაზად იყო პინა, დღეს ერთ მანეთად არის. წარსულ წელს სიმინდი ნაკლებად მოვიდა, წრეულს არ ვიცით, რა იქმნება. წინად ჩვენიდგან ხილი მაინც გაჰქონდათ გასასყიდად, ეხლა-კი ხილის წაღება აღკრძალულია. საჭიროა გამოკვლეულ იქმნას, რა მიზეზით აკრძალეს ხილის მიტან-მოტანა და ეხლაც არსებობს კიდევ ეს მიზეზი თუ აღარა.

* * ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობას მოლაპარაკება ჰქონია თიანეთის გზის იჯარადართან, რომ მან იკისროს უბრალო და ფულიან წერილების გადატან-გადმოტანა დუშეთიდგან თიანეთამდე. იჯარადარი თანახმაა, ხოლო დუშეთიდგან -კი ვერ ვატარებ, რადგან ცუდი გზებია, არამედ თელავიდგანაო. თელავიდგან თიანეთამდე ერთ სადგურის გამართვა ფიქრდება. (Кавказъ).

* * 12 ივნისს პოლიციის მეექვსე ნაწილში შეეპყრეს სოფ. თახლიას მცხოვრებელი იბრაჰიმ ყურბან-ოღლი, რომელსაც 11 დღის წინად ვაზიანის სადგურთან იოსებ გალუსტოვისაგან ორი კამეჩი მოეპარა და მიჰყავდა. დამნაშავე მაზრის უფროსს წარუდგინეს.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რიონის მარცხენა მხარე (ქუთაისის მაზრა). 10 [illegible] სასიამოვნო ამბები ხდება ჩვენს კუთხეულ მხარეში, მაგრამ ვინაა ამ ამბების გამო ხმის ამომღები. აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი და მომართული, რომ მართლის მთქმელს შეეშმული ცხენი მზად უნდა ჰყავდეს, რომ თავს უშველოს. მართლის თქმა დიდ დანაშაულობად მიაჩნიათ აქ და ვინც გაკადნიერდება და ამ საქმეს ბეტვირთებს, ვაი იმას: იმისთანა საქმეს დამართებენ, რაც არა თქმულა და რის წარმოდგენაც ძნელია. და აი კიდევაც ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი სასწავლი ახალგაზდობა ყველაფერს გულ-გრილად უყურებს და არაფერ კეთილ საქმეს ის ძეთაურად არ უხდება. აქაურს უკულმართად წარმართულ ცხოვრებას ცუდათ უმოქმედნია, რომ ყოველივე ახალგაზდობის კარგისადმი მისწრაფება და ლტოლვილება აღმოუფხრავს და თვით ისიც გაუხდია ძონად სოფლის გაიძვერა „ბლოკატებისა“ და სხვა. სიჩუმე, გაკლენიან პირებთან მეგობრობა და ყველაფერში მათთან თანხმად მოქმედება, აი ცხოვრების საგანი რომელსაც ისინი ერთგულად უნდა ემსახურონ. ამას შეძდეგ რა გასაკვირველია, რომ მათ სიტყვას და მოქმედებას არაფერი გავლენა ჰქონდეს და არც არავინ პატივით ეპყრობოდეს. სასწავლ ახალგაზდობის ნაცვლად ეხლა ბურთი და ძოედანი დარჩენია ყოვლად უმეცართ და პირად ანგარიშების მიმდევართ. ამათ ჩაუგდიათ სოფლის საქმეები ხელში და თავს ბოლოში მოაქცევენ ბ ბოლოს თავში. ან-კი ეს რა გასაკვირველია. ნათქვამია „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო.“ ეედს და დროსა ვითარებას ურგუნებია მათთვის სოფლად ბატონობა და ესენიც ბატონურად ეპყრობიან სოფელს. მოგეხსენებათ, სადაც ხალხი ამისთანა პირების ზედგავლენისა და მოქმედების ქვეშაა, იქ რაღა ხეირს უნდა მოელოდეს ვინმე, და კიდევაც არაფერი ხეირი გვაყრია. მთელი მხარე აკლებულია ქურდებისა და ავ-კაცებისაგან. ამ სამწუხარო მოვლენაში თვითონ სოფელსაც უდევს წილი. სოფელმა კარგად იცის, ვინაა ავი კაცი, ქურდი; მაგრამ ის გაჩუმებულია, ავ კაცს ხელს აფარებს. მართალია, სოფელი თავს იმართლებს იმით, რომ ხშირად ყველასაგან ავკაცად ცნობილი კაცი სასამართლოში არა მტყუნდება და, რადგან ეს ასეა, რისთვის მოვინდეროთ და უარესად გადავიმტეროთ ავი მეზობელი, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ავის კაცის გამართლება სასამართლოში არ იქნებოდა, რომ სოფელი რიგიანად მოეკიდებოდეს საქმეს. ავი კაცები ! არგებლობენ ჩვენ დაუდევრობით და ვინ უწყის, რას არ ჩადიან. წარსულ თთვეში სოფ. ჭყვიში ცხენები მოჰპარეს ორს გლეხს მ—ძეს და ბ—ძეს. იქვე მიუხდნენ ადგილობრივ მღვდელს კ—ს და, მართალია, წაღებით არაფერი წაუღიათ, რადგან ადრე აუგეს, მაგრამ მთელი სახლობა დააწიოკეს. სოფ. შვამთას ერთ გლეხს ცხენი მოჰპარეს. პატრონი ცხენის მომპარავს უკან დაედევნა, იცნო კიდევაც, ვინც იყო, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან თვითონ ხელში არაფერი სჭეროდა, ქურდი-კი თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებული იყო. მეორე დღეს ბევრი იხტუნა საწყალმა ცხენის პატრონმა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ქურდის მნახველი იმის მეტი არავინ აღმოჩნდა. ვინ მოსთვლის რამდენი ამისთანა ამბები ხდება ჩვენში. თუ ამ სენის წინააღმდეგ ახლავე არ იქმნა რამე ღონისძიება მიღებული, შემდეგ გვიან-ღა იქნება და ხალხის ზნეობა სრულიად დაეცემა.

ქურდობის შესახებ რომ არაფერი ვსთქვათ, არც სხვაფრივ ვართ მოსვენებული ავ-კაცებისაგან. ამ ბოლოს დროს კაცის დაჭრა და მკვლელობაც ხშირია ჩვენში. ერთი ამ გვარი მკვლელობა მოხდა ჩვენში 30 მაისს. აი საქმე როგორ იყო. ტობანიერის სოფლის კანცელარიასთან არის რამოდენიმე სამიკიტნო დუქანი, სადაც, ვსთქვათ, ოაკი სიტყვამ მოიტანა, მუდამ ქეიფია. ქეიფობენ განსაკუთრებით იმისთანები, რომელნიც ცხოვრების მიზანს და დანიშნულებას მხოლოდ ღვინის სმაში და დროს გატარებაში ხედავენ. ხსენებულ დღეს ამ კანცელარიაში ყრილობა ჰქონდათ რაღაც სასოფლო საქმეების მოსასმენად, რადგან ყრილობამ დიდხანს გასტანა, ამისათვის ყველანი, ვისაც რაძე ეგულებოდა ჯიბეში, შესულიყვნენ დუქანში სადილის საჭმელად. სხვათა შორის დუქანში შესულიყო გლეხი კ—ძე და მოეთხოვა სადილი. ცოტა ხანს შემდეგ შესულიყო დუქანში აზნაური გ—ძე, რომელიც ძალიან შეზარხოშებული ყოფილიყო, და დაეწყო უწესოდ მოქმედება და ლანძღვა-გინება. ეს უწესოება არაფრად მოსწონებოდა გლეხს კ—ძეს და თავაზიანად ეთხოვა გ—ძისათვის, ლანძღვა-გინებისათვის თავი დაენებებია. გ—ძემ ეს იუკადრისა, როგორ თუ გლეხი მიბედავს ამასო, წამოავლო ხელი სასწორის ქვას, დაარტყა თავში კ—ძეს და ვაის დაუძახებლად სული გაანთხევინა. საწყალი აალგაზდა, წვრილ-ცოლ-შვილის პატრონი კაცი იყო. თუმცა ეს მკვლელობა მოხდა მთელ საზოგადოების თვალ წინ, სადაც იყვნენ აგრეთვე ყველა სოფლის მოხელეები, მაგრამ კაცის მკვლელი გ—ძე ისე გაჭრა და გაიპარა, რომ მეორე დღეს, როცა პოლიციის ბოქაული მოვიდა საქმის გამოსაძიებლად დამნაშაეს ვერ იპოვეს და არავინ იცის დღესაც, სად არის.

ი. კიმიცანიძე

ზემო იმერეთი საქართველოს ! ხვადა-სხვა კუთხეებიდამ მოწერილს ამ ბებს ხშირად შეხვდება მკითხველი გაზ. „ივერიაში“, მაგრამ საჩხერისა და მისს მიდამო სოფლების ავსა და კრგს, მას თან საგრძნობელს—ამბავს ვერც „ივერიაში“ შეხვდებით და ვერც სხვა რომელსამე გაზეთში, რომ წესიერად იყოს ანუსხული ჩვენი დღის ჭირ-ვარამი, არც არავის ჩვენი რამ ესმის, და არც ვის

ვინეს, სკოლები უნდა დაეკეტნათ, მაგრამ ბოროტ-განზრახულობა დასწამეს—და საქმე ჯერ იმაზე შეჩერდა. ეხლა თითონ კანონიც აძლევს ნებას ჩვენ სოფლებს, რომ თავის ხარჯით თავის სოფელში დაიწესოს სკოლა.

აქამდისინ ასე იყო და ეხლაც ჯერ ისე არის, რომ ყოველი სოფელი ხარჯს იხდის სკოლების სასარგებლოდ, ხოლო ყველა სოფელს ხმარდება თავისი გამოღებული ფული. ს. საქობო, რაც სკოლები დაწესდა, ხარჯს იხდის და ამ ხნის განმავლობაში, რომ ვიანგარიშოთ, გარდახდილი ხარჯი შეუდგება სამას-ოთხას თუმნამდის და სკოლა-კი არა აქვთ და არც იცან, ვისა ხმარდება იმათი ფული.

ახალ წესების ძალით, რომელიც არის დამტკიცებული მთავარ-მმართებლის-მიერ[1]) სოფლის საზოგადოებას თავის ნებით შეუძლიან დააწესოს სკოლის ხარჯი და რამდენსაც ისურვებს, იმდენი ხარჯი გამოიღოს, დაკლებისა და მომატების ძალას ვერ დაატანენ, ხოლო თავისი გადაწყვეტილება უნდა დასამტკიცებლად გუბერნატორთან წარადგინოს და მერე კისრად დებული ხარჯი შეიტანოს განუწყვეტლივ ხაზინაში. აქ შეტანილ ფულს ხელს ვეღარ ახლებს სოფლის საზოგადოება, იმას ახმარებს სკოლას მთავრობა იმ საზოგადოებას სკოლას, რომელსაც შეაქვს ფული (§§ 1, 2, 4). ხოლო, თუ საზოგადოებამ ერთხელ შეადგინა განაჩენი სკოლის ხარჯის გაწერისა, მერე ძნელადღა იხსნის თავსა ამ ხარჯიდამ. მხოლოდ მთავრობას შეუძლიან განთავისუფლება ამ ხარჯისაგან და ისც მაშინ, როცა საზოგადოებას (§ 7, 8) აღარ შეეძლება იმის გაწევა სიღარიბის გამო.

რადგან ყოველ სოფელს შეაქვს ხარჯი სკოლისა, შეუძლიან თავისთვის მოითხოვოს თავისსავე ალაგას სკოლის დაარსება (§ 9 და 11). აქამდისინ-კი ოთხ-ხუთ სოფლის ხარჯით ერთი საზოგადო სკოლა ინახებოდა და ამ სკოლით სარგებლობდა ის სოფელი, რომელიც სახლსაც მისცემდა. ამისთანა ბედნიერი სოფლები არიან: ვაქირი, ბოდბის-ხევი, ზემო-მაჩხაანი, მირზაანი და მალარო. დანარჩენები, თუმცა ხარჯს იხდიან, სკოლებს მოკლებულნი არიან; მაგ.: ანაგა, მაშნანი, საქობო, ასანური, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიანი, ოზაანი, ზემო-მაჩხაანი, ბოდბე და ჭოტორი, სოფელ ბოდბეში ერთის ღვდლის თაოსნობით არის დაწესებული საეკკლესიო სკოლა, მაგრამ სოფელი მაინც სკოლის ხარჯს იხდის და სად მიდის მისი ხარჯი, სოფელს ვერ გამოუკვლევია

ყველა სოფელი, მართალია, ხარჯს იხდის, მაგრამ, როგორცა ვსთქვით, ყველა სოფელს არა აქვს სკოლა და ახალის წესით-კი უნდა ყოველ საზოგადოებას თავისი ხარჯი თვითონვე მოხმარდეს. ეხლა სკოლის ხარჯი თითო სოფელიდამ მიდის 10—12—15 თუმანი და ამ ფულით ცალკე სკოლის შენახვა ძნელია. ამისათვის კარგი იქნებოდა ჩვენს სასულიერო მთავრობას ხელი მოეკიდნა რიგიანად საეკკლესიო სკოლებისათვის. თვითონ ღვდლებსაც, თუ თავს გამოიდებენ, შეუძლიანთ თავის სამრევლოებში დააწესონ საეკკლესიო სკოლები. სოფლის საზოგადოებას ნება აქვს თავის სკოლის ფული თავისავე სკოლას მოახმაროს. უნდა მღვდლებმა ითავონ ამ სკოლების დაწესება ამ გვარდ: რასაც სოფელი იხდის ხარჯს სკოლისას, ათს, ან 15-თუმანს, ის ფული საეკკლესიო სკოლას მოახმაროს და ცოტა-ოდენი შრომის ფასი აძლიოს ან მღველსა, ან დიაკვანს რომელიც იკისრებს მასწავლებლობას. ორ-ოთახიან სახლის გაკეთებას ყოველი სოფელი ითავებს. ამ სახლში შეიძლება იმ სოფლელი დიაკვანიც დადგეს და სოფელი აღარ შეაწუხოს. გაკვეთილები შეიძლება ისე განაწილდეს, რომ მღვდელმა მხოლოდ მაშინ ასწავლოს, როცა თავისუფალი იყოს თავის თანამდებობის აღსრულებისაგან, მაგ. ნასადილევს. ზოგნი გაიძახიან სკოლას დავაარსებდით, მაგრამ გლეხები შვილებს არა გზავნიანო. ეს სულ მტკნარი სიცრუეა. განა არ გვახსოვს განთქმული სკოლები მღვდლებისა, ნაქები წესიერებით და ბეჯითობით—ვაქირში—დეკანოზ ხატიშვილისა, ბოდბისხევში—დეკანოზ ნაცვალიშვილისა და სხვ. კარგად გვახსოვს სიმრავლეც ამ სკოლების მოსწავლეთა.

ერთის სიტყვით, ეს საქმე ყველგან ადვილი მოსახერხებელია, თუ მოთავეობას თავს იდებს ვინემ და გულმოდგინედ ინდომებს შრომას თვის სასახელოდ და ქვეყნის სასარგებლოდ.

გამოკლილი მასწავლებელი

ᲪᲘᲤᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ*)

(მცირე შენიშვნა).

1891 წელს სულა გვქონია წლის დამდეგს 118 სკოლა, წლის დამლევს—119. ეს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში, ქუთაისისაში-კი წლის დამდეგს 123, წლის დამლევს—125. მთლად საქართველოში წლის დამლევს ოფიციალურ სულ 244 პირველ დასაწყისი სასწავლებელი. ამავე წელს გაუუქმებიათ 2 სკოლა, ხოლო 1 ახლად გაუმართავთ ტფილისის გუბერნიაში; ქუთაისში ახლად 3 დაუარსებიათ და 1 გაუუქმებიათ. ტფილისის გუბერნიაში 10 სკოლა ქალაქ ადგილას ყოფილა, 4 საოსტატო სემინარიებთან, 6 სოფლისა ყოფილა ნორმალური, 4 ორ-კლასიანი, 1 ერთ-კლასიანი. ესენი სამინისტრო. ხოლო სასოფლო პირველ-დასაწყისნი არიან რომლებსაც სოფლის საზოგადოებანი-კი, ინახავენ თავის ხარჯით, — 72. საქველ-მოქმედო საზოგადოების ხარჯით 7, კერძო კაცთა ხარჯით 1, ლოტრანგებისა 6 და კათოლიკებისაც 8. ამ ჩამოთვლილ სკოლებში ქალთა სკოლა 7 ყოფილა, დანარჩენი ვაჟებისა, ანუ ერთად ვაჟებისა და ქალებისა.

ქუთაისის გუბერნიაში სამოქალაქო სკოლა სულ 8 ყოფილა, საოსტატო სემინარიასთან 1, სოფლის ნორმალური 6, სოფლის ორკლასიანი 3, და ერთ-კლასიანი-კი 98. საქველ-მოქმედო საზოგადოების ხარჯით 1 სკოლაა, 3 კერძო კაცთა ხარჯით, კათოლიკეთაც 5 სკოლა აქვთ. ამ სკოლებიდან განსაკუთრებით ქალთა სკოლა 9 ყოფილა, დანარჩენი ვაჟებისა და ქალებისა ერთად.

ტფილისის გუბერნიის 92 სკოლაში ისწავლება რუსული ენა ადგილობრივ ენასთან შეერთებით ჯ 27-ში-კი მარტო რუსული. ქუთაისის გუბერნიაში 109 სკოლაში ისწავლება რუსული და ადგილობრივი და 16-ში—მხოლოდ რუსული.

მთელ ტფილისის გუბერნიაში 11 რუსთა სკოლაა და ერთი სკოლა მოდის 5,500 სულს რუსზე. ქუთაისის გუბერნიაში სულ არ არის მათი სკოლები.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ერთი სკოლა მოდის 6,400 სულს ქართველზე. 182 სკოლა ითვლება განსაკუთრებით ქართველებისა.

ტფილისისა და ქუთაისისავე გუბერნიებში, სადაც 24 სომხის სკოლაა, თითო სკოლაზე 8,200 სული სომეხი მოდის.

ტფილისის გუბერნიაში მარტო 7 მაჰმადიანთა სკოლაა, თითო სკოლა 27,100 სულზე მოდის.

ქუთაისში სრულიად არ არის მათი სკოლები.

მთიულებს ორსავე გუბერნიაში 2 სკოლა აქვთ და ერთი სკოლა 21,000 სულს მთიულზედ მოდის.

დანარჩენი სკოლები სხვა ეროვნებას ეკუთვნის.

საერთოდ-კი მთლად ტფილისის გუბერნიაში, საცა 880 ათასი მცხოვრებია და 119 სკოლაა, ერთ სკოლაზე მოვა 7,300 სული.

ქუთაისის გუბერნიაში-კი, სადაც 917 ათასი სულია და 125 სკოლა, ერთი სკოლა მოვა 7,300 სულზე. ერთის სიტყვით, ტოლ-ტოლად ორივე გუბერნიაში.

უფრო მრავლად სკოლები გამართულა 1877—81 წლებში: ტფილისის გუბერნიაში 24 და ქუთაისისაში კიდევ 19. ერთი კარგი ხანა კიდევ 1872—76 წლებში დასდგომიათ სკოლებს: ტფილისის გუბერნიაში ამ დროს დაუარსებიათ 25, ქუთაისში 63. სხვა წლებში-კი ცოტ-ცოტა დამართულა თითო-ოროლობით.

ორთაშუა რიცხვით, მას უკან რაც ტფილისის გუბერნიაში სკოლები არსებობენ, 21,$_2$ წელიწადი გასულა; ქუთაისისაში—18 წელიწადი.

სულ დახარჯულა ორივე გუბერნიის სახალხო სკოლების შენახვაზე 1891 წელს 195,800 მანეთი; აქედგან 75,429 სოფლის საზოგადოებათ დაჰხარჯვია; დანარჩენი სხვა წყაროებიდგან არიან მოპოვებული, თუ ხაზინას გაუღია, თუ კერძო კაცთა და დაწესებულებათა.

ტფილისის გუბერნიაში სულ 106 სკოლა, რომელთაც ბიბლიოთეკა მოეპოვებათ, ქუთაისის გუბერნიაში-კი 113.

ტფილისის გუბერნიაში სულ 10 სამზრუნველოა სკოლისა, ქუთაისის გუბერნიაში — 107 ია. საანგარიშოს წელს სრულიად წლის დამლევს ყოფილა სასწავლებელში 5,848 მოსწავლე ვაჟი და 2,467 ქალი—სულ 8,315 მოსწავლე. ეს ტფილისის გუბერნიაში.

ქუთაისის გუბერნიაში-კი 8,083 მოსწავლე ვაჟი და 1001 მოსწავლე ქალი, სულ 9,084.

ქართველი მოსწავლე ბავშვი ტფილისის გუბერნიაში 3,715 ყოფილა, ქუთაისსში-კი, 8,121. დანარჩენნი-კი სხვა ეროვნობისანი. ყოფილან.

თბილისის გუბერნიაში გალობას ასწავლიან 82 სკოლაში, გიმნასტიკას 70 სკოლაში. 7-ში—ხელსაქმეს, 4-ში დურგლობას, 4-ში ჩუქურთმის ჭრას, 3 წიგნების კაზმას, 1-ში—ხარაზობას, 16-ში—მებაღეობას, 11 მებოსტნეობას, აბრეშუმის კეთებას—17 და 8-ში მეფუტკრეობას.

ქუთაისის გუბერნიაში გალობას ასწავლიან 85 სკოლაში, გიმნასტიკას—107, ხელსაქმეს—10 სკოლაში, დურგლობას—5, ჩუგურიმის ჭრას 1-ში, წიგნების კაზმას—8 სკოლაში ბაღოსნობას—12-ში, მებოსტნეობას—33-ში, აბრეშუმის კეთებას 24-ში, მეფუტკრეობას—9-ში.

სწავლა დაუმთავრებია:

ტფილისის გუბერნიაში 669 შეგირდს ქუთისისაში—570. მეოთხე ხარისხით შეღავათი სამხედრო სამსახურისთვის მიუღიათ ტფილისის გუბერნიაში 116, ქუთაისისაში—100. ტფილისის გუბერნიის სკოლებიდან 1648 წერაკითხვის მცოდნე გამოსულა, ქუთაისისაში-კი 1,333.

სახალხო სკოლის მასწავლებელი ვასილ ბიბილაშვილი

ქ. ტფილისი
8 ივნისს 1893 წელს.

წვრილი ამბავი

გაზეთმა „Revue bleue“-მ დაურიგა თავის ხელ-მომწერლებს 800 ფურცელი, ზედ დაწერეთ იმ 25 წიგნის სასელი, რომელიც უფრო მოგწონთო.

შედეგი ასეთი იყო: ვიქტორ ჰიუგომ დაიჭირა პირველი ადგილი და 53 ხმა ჰხვდა მეტი, ვიდრე მოდიერს. მოლიერს შეორე ადგილი უჭირავს. ვიქტორ ჰიუგოს თხზულებაში განსაკუთრებით მოსწონთ თურმე: „La Legende des Slecles-ი, Hotre-Dame de Paris-ი, Le Contemplations“ და სხვა... შექსპირს მესამე ადგილი უკავია. განსაკუთრებით მოსწონთ მისი: „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“ და „მეფე ლირი.“ მეოთხე—რასინია—475 ხმით. მისი „იფიქენია“ ძლიერ მოსწონს განსაკუთრებით ახალგაზრდობას. მესუთე—ლა-ფონტანია. მეექვსე—ალფრედ-დე-მიუსსე, რომელსაც 426 ხმა ხვდა. მეშვიდე—კორნელი და მერკედ—გოიტე. გოიტესი განსაკუთრებით მოსწონთ „ფაუსტი“ და „კერტერი“. მეცხრე ადგილი უჭირავს ვოლტერს. მეათე—პასკალს და სხვ.

— ამერიკაში ესლა ქალები თან ატარებენ უჩინარ სკამებს. უჩინდელ ტიუერნერის ალაგასა აქვთ გაკეთებული. სუფთა და სუბუქი მასალისაა, ისე რომ არ ამძიმებს მახდილოსნებს. სადაც უნდა იქ ჩამოსვენდებიან ამ სკამებზედ. ხოლო კაცები ჰრიან ამ შემოხვევაში უბადრუკები. ეხა, ბატონო, ისინიც ხომ კერ ჩამოიკანკურებენ ამ სკამებს, ფრაკი დაჭფარავს, თუ პიჯაკი!

— პარიეში აკურთხეს ამას წინად ძეგლი თეოფრასტე რენოდოსი. რენოდო დამაარსებელია პირველ ფრანგულის გაზეთისა—„Gazette“. მისი ძეგლი ბრონზისა, ქვა ფენილზეა ამართული და ზედ რენოდოა, სკამზედ, ხელში რვეულები, გამოქანდაკებული. ამ ძეგლის ერთ მხარეს აწერია: ვსთხოვ სხვა ქვეყნების მეფეთ, ტუილად ნუ მოსცდებიან და ნუ დაუშლიან ვისმე ჩემს ცნობებს კითხვას, რადგანაც ეს ისეთი საქონელია, რის ალებ-მიცემობაც თავის დღეში არ უნდა დაუშალოს ვინმეს. [illegible] რამდენსაც დაუშლიან [illegible] რო გაძლიერდეს ხალხი კითხვა“. [illegible] რე გვერდზედ აწერია: „საჭიროა, რომ ო

სასულმწიფოში მდიდრები ეხმარებოდნენ ღარიბებს, რადგანაც სახელმწიფო რაღაც მახინჯს ემსგავსება, როდესაც ერთა ნაწილი მცხოვრებთა სქელდება და სუქდება, მეორე-კი ბატარავდება და იღეკვა“.

— რუსეთში და განსაკუთრებით პეტერბურგში წლითი-წლობით მატულობს უკანონო ბავშვების რიცხვი. სტატისტიკური ცნობანი გვაცნობებენ: 1887—1888 წელ. მთელს რუსეთში 16.880 უკანონოდ დაბადებული ოფიციალ,—ისე რომ 1000 ახალ დაბადებულზედ 285 უკანონო მოდის. ამის გარდა სტატისტიკა ქალაქებში უფრო ბევრია მათი რიცხვი კიდრე პროვინციაშიაო.

მოსკოვში, მაგალითად 1891 წელს 1000 ახალ დაბადებულზედ 486,9 უკანონო ბავშვი მოდის, ვოლოგდაში, 1000 ზედ—382 ორლოვში—255, კიევში—143, ეკატერინოსლავში — 143, დერპტში—111, კრონშტადში—107, და სხვ... განსაკუთრებით სასწრაფოთ ეტცელდება უკანონოდ შობილების რიცხვი ევროპის რუსეთის 56 გუბერნიაში.

დეპეშა

12 ივნისი

პეტერბურგი. სახელმწიფო კანცელარიამ დაჰბეჭდა კანონი მოვახშეთა შესახებ იმ საბუთების დამატებით, რომელზედაც დამყარებულია ეს კანონი.

ლონდონი. კლერკმა წინადადება შეიტანა, შოტლანდიაში საკანონმდებლო კრებული დავაარსოთ, რომელმაც მხოლოდ შოტლანდიის საქმეები განაგოსო; შოტლანდიის სტატს-სეკრეტარმა ტრაველიანმა სთქვა, რომ ეს წინადადება არც უდროვოდ მიმაჩია და არც უსარგებლოდაო.: დროა ვაღიაროთ შოტლანდიელთა უმაყოფილებაო; მთავრობა პირველ შემთხვევით ისარგებლებს, რომ გააუმჯობესოს ეხლანდელი წესწყობილება შოტლანდიისა; კლერკის წინადადება ჯერ მოსაფიქრებელ-გაოსარკვევია, მაგრამ მე, ტრაველიანი, მისი მომხრე ვარო. წინადადება უარ ყოფილ იქმნა 168 ხმის უმეტესობით 150 წინააღმდეგ. უნიონისტებმა, კენჭის ყრა რომ გათავდა, ტაშის ცემა ასტეხეს.

13 ივნისი

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებულია 1 ივლისს აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომლის ძალითაც ორნაირი სადამოჟნო გარდასახადი უნდა შემოღებულ იქმნას: საერთო სადამოჟნო ბაჟი, დაწესებული 11 ივნისს 1891 წ. ყველა ცვლილებით, რომელიც უკვე მოხდა ანუ შემდეგ მოხდება, გარდახდება იმ ქვეყნების მიწის მოსავალსა და სამრეწველო საქონელს, რომლებიც რუსეთის საქონლის შეტანის დროს უფრო დიდს შეღავათს მისცემენ ანუ შეღავათითვე თავის სამფლობელოზედ გაატარებინებენ; ხოლო იმ ქვეყნების მიწის მოსავალსა და სამრეწველო საქონელს, რომელნიც დიდს

---

[1]) Цирк. Попеч. Кав. Учеб. Окр. 1892 г. № 10 стр. 486—489.

*) იხ. კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის 1891 წლის ანგარიში, სადაც აწერილია მდგომარეობა კავკასიის პირველ დასაწყისის სასწავლებლებისა.

შელავათს არ იძლევიან, ბაჟი მეტი გარდახდება 15, 20 და 30 %.

ახალი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ანტონოვიჩი განაგებს გაწერილ ტ გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტს, ბანკებსა და საკრედიტო განსაკუთრებულ კანცელარიას.

ციმბირის რკინის გზის მაშენებელ კომისიის მე 6 კრებაამ დაამტკიცა ხარჯი დასავლეთ-ციმბირის რკინის გზის 1 და 2 ნაწილისა და შუა-ციმბირის 1 ნაწილის გასაყვანად, ყველა მოწყობილობითურთ,— 73.365,085 მან.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	მყიდველისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
...-მანათიანი ოქრო	7,56	7,59	— ,,
...ბოუნის კუპონები	151	151¾	— ,,
...ნეოიანი ვერცხლის ფული . . .	1,02	1,04	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	247
მეორისა . . .	— ,,	— ,,	224¼
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
...ელმწიფო თავად-აზნურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	194½
...ერავნობის ფურცელნი ...ფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
...ოაისის ბანკისა 6% .	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	— ,,	— ,,

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ბ-ნ **ᲛᲝᲬᲘᲕᲔᲡ.** თქვენი წერილი, 6 თიბათვიდგან, სხვა და სხვა ადგილად მისახვედრ მიზეზთა გამო ვერ დაიბეჭდება. საქმის გამოხარკვევად მიჰმართონ სამუშაოთა უფროსს-კი არა, არამედ—Въ Инженерное Управленіе Кавказскаго округа путей сообщенія.

ᲮᲔᲚ-ᲓᲐ-ᲮᲔᲚ ᲡᲐᲯᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ტფილისის საგუბერნიო გამგეობა 10 ...ემბრისათვის ნიშნავს საჯარო კაჭრობას თავ. დიმიტრი თომას ძის ანდრონიკაშვილის მამულის გასასყიდად. მამული იმყოფება სიღნაღის მაზრაში სოფელ ...ამბალოს. შეიცავს სახნავს, სათიბსა და საძოვარ მიწებს, სულ 625 დესიატინას. დაფასებულია 9375 მანათად.

— ქუთაისის საგუბერნიო გამგეობა იულისის 2 მოახდენს საჯარო კაჭრობას. იჯარადარმა უნდა გააკეთოს ხიდი მდინარე ...ირულაზედ იმერეთის სამხედრო გზა-ტკეცილზედ. ამ ხიდისათვის გადადებულია 5196 მან. 49 კაპ. იჯარადარმა უნდა წარადგინოს გამგეობაში ⅓ ამ თულისა, ზალოგად.

— კავკასიის ოლქის საინჟინერო გამგეობის დარბაზში 14 იანისს მოხდება საჯარო კაჭრობა. იჯარადარმა უნდა შეაკეთოს დრუანის სამზარეულო და ფურნე ქ. ოზურგეთში. ამისათვის გადადებულია 2,419 მანათი.

— ქუთაისის საგუბერნიო გამგეობა მომავალ 14 იანისისათვის ჭნიშნავს საჯარო კაჭრობას. იჯარადარმა უნდა დაამზადოს ქვა-მტკრეული და ოზურგეთისა და ნატანებს შუა გზა-ტკეცილზედ დაჭყარის. ამისათვის გადადებულია 3681 მანათი. ამასანავე იჯარადარმა უნდა შეიტანოს გამგეობაში ⅓ ამ თულისა, ზალოგად.

— კავკასიის სოფლო გზათა უწყების გამგეობა 26 იანისისათვის ჭნიშნავს საჯარო კაჭრობას, და იწვევს იჯარადრებს. გასაკეთებელია 10 სარკინისგზო სადი ბათუმსა-და ახალციხის შუა, სულ გადადებულია ამისათვის 19330 მანეთი 93 კაპ. დაწვრილებითი ცნობანი შაიძლება გაიგონ თვით გამგეობაში.

— ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის დარბაზში 14 იანისს მოხდება საჯარო კაჭრობა. იჯარადარმა უნდა გაიკეთოს სამი ხიდი ახალციხის გზაზედ, მდინარე ნაინგურზედ, უდუდეზედ და კუჩისოდენზედ. გამგეობას გადადებული აქვს ამისათვის 6969 მანათი 53 კაპ. სხვა ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჭმართონ ქუთაისის საგუბერნიო გამგეობას.

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის ᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲝᲑᲘᲗ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

ᲞᲐᲠᲐᲡᲕᲚᲔᲝᲑᲘᲗ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

ᲞᲐᲠᲐᲡᲕᲚᲔᲝᲑᲘᲗ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲣᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲭᲐᲕᲔ ᲬᲧᲐᲚᲘ

(რაჭა, ქუთ. გუბ.)

სოფ. უწერას ახლად გაიმართა თავის მოწყობილობით სუფთა ოთახები სამზარეულოთი; მზადდება ევროპეული და ჩვენებური საუზმელები. ფასი იაფი.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ⲁ. Ⲓ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან 2 საათამდე. ნაშუადღევიე (150—65)

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ᲒᲝᲠᲨᲘ არსენ კალანდაძესთან.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ი. ხეთერელისა და წერაეთლის წიგნის მაღაზიაში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ბ. კალანდაძესთან.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მოთხრობა

Ⲓ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალიცა-ხელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

Უ. Ⲑ. ᲩᲘᲭᲝᲐᲜᲘ, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ᲑᲠᲝᲪᲙᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘ, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

Ⲑ. Ⲫ. ᲥᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ, 12½—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ს. Ბ. ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ს. Ⲑ. ᲤᲣᲒᲘᲜᲝᲕᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ᲩᲔᲑᲣᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. ᲒᲐᲓᲝᲛᲡᲙᲘ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½ საათამდის.

Ე. Ი. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲣᲡᲘ, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ᲜᲣ ᲣᲘᲓᲣᲚᲝᲒᲗ ოლეო-ვაზელინის საპონს **ᲠᲝᲘᲐᲚ-ᲙᲝᲜᲒᲝ**

რომელსაც ვასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს ვამომგონებისავან

Ⲉ. ᲑᲝᲓᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲝ-ᲡᲐᲕᲐᲜ



გაუფრთხილდით ყალბ საპონს!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘᲐ!

საპონი ოლეო-ვაზელინი, ტიპილობრისი.

ფაბრიკა: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ.

იყიდება ყველა საუკეთესო პარფიუმერიის და საფთიაქო მაღაზიებში. (4—4)

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ

(ᲫᲘᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ 1.000,000 ᲛᲐᲜ.)

ისყიდება 5%-იანი **ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ** I, II, და III სესხისა თთვეში **ᲮᲣᲗ-ᲮᲣᲗ ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡᲐ.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 ᲙᲐᲞ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—30) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

Доз. ценз. Тифлисъ, 14-го Іюня 8913 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ